ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7627061

ნომერი: AR11107031

თარიღი : 08.09.2025

გაცემის თარიღი : 15.09.2025

გაცნობის თარიღი : 15.09.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თარხნიშვილი , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზი გვარამაძე პ/ნ 60001124990
- ქუთაისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 9ა ბ. 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან ხდება რეკონსტრუქცია, წარმოდგენილ იქნეს არსებული საჩრდილობლის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. წარმოდგენილ იქნეს შორი ხედის ფოტოსურათებიც და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი. ფოტომონტაჟებზე აგრეთვე დატანილ იქნეს ფერის კოდები. ზომები მიეთითოს კონსტრუქციის ყველა ნაწილს.
3. წარმოდგენილ იქნეს ფრაგმენტული გეგმა, ფასადის ფრაგმენტული გეგმა და ჭრილი საპროექტო ობიექტის ჩვენებით გაბარიტული ზომებისა და სიმაღლის ნიშნულების დატანით.
4. წარმოდგენილ იქნეს საკადასტრო გეგმაზე მონიშნული საპროექტო არეალი.
5. წარმოდგენილ იქნეს იმ ფართ(ებ)ის ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან, რომელზეც ხდება საჩრდილობლის მიმაგრება, მესაკუთრის თანხმობებთან ერთად.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.